



ჯიპიაი

პენის სტრატეგიული ჯგუფი



**სს თიბისი ბანკის სესხზე მიბმული
ქონების დაზღვევის პირობები**

ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“ ს/კ 204426674; მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N 67

დამზღვევე(ებ)ი - ფიზიკური პირი ან პირები, რომლებიც წარმოადგენენ სს „თიბისი ბანკის“ საკრედიტო პროდუქტის მსესხებლებს ან/და თანამსესხებლებს და იხდიან სადაზღვევო პრემიას მოსარგებლის მეშვეობით.

დაზღვეული - სს „თიბისი ბანკის“ მსესხებელი/თანამსესხებელი.

მოსარგებლე - პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის მოსარგებლეს ყოველთვის წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი“.

სადაზღვევო თანხა - დამზღვევსა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე თავდაპირველად დამტკიცებული სესხის თანხის ექვივალენტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლებზე.

სადაზღვევო თანხის მაქსიმალური ლიმიტი ერთ ობიექტთან მიმართებაში არაუმეტეს 1,000,000 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტისა სხვა ვალუტაში

დაზღვეული რისკი - მოვლენა, რომლის დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს მოსარგებლის მეშვეობით სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეულ ქონებაზე, დაზღვევის ხელშეკრულებითა და პოლისით გათვალისწინებული დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი მოვლენა, რომლის შედეგად დამზღვევს წარმოემოხა სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სადაზღვევო პერიოდი - პოლისით განსაზღვრული დროის შუალედი, რომლის განმავლობაში მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა.

ფრანშიზა - თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

ნარჩენი ღირებულება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ დარჩენილი ქონების საბაზრო ღირებულება;

საბაზრო ღირებულება - შენობა-ნაგებობებისთვის - განადგურებული ობიექტის საპროექტო მახასიათებლებისა და სამშენებლო მასალების ხარისხის თვალსაზრისით ანალოგიური ობიექტის მოცემულ ადგილზე მშენებლობის საპროექტო ღირებულება, ცვეთისა და ექსპლუატაციურ-ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

დაზღვევის ტერიტორია - დამზღვევე(ებ)სა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული სესხის უზრუნველყოფაში მყოფი ქონების მისამართი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

1. პრეამბულა

წინამდებარე საკრედიტო ქონების დაზღვევის საგანია დამზღვევსა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების დაზღვევა.

წინამდებარე პირობების საფუძველზე მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული რისკების შედეგად, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს მოსარგებლეს, ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას პოლისით განსაზღვრული ფრანშიზის გამოკლებით სადაზღვევო თანხის ფარგლებში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის შესაბამისად.

დაზღვევის ხელშეკრულების გასაფორმებლად, მზღვეველის მოთხოვნისამებრ, დამზღვევი მოსარგებლის მეშვეობით წარუდგენს მზღვეველს დასაზღვევი ქონების ფოტოებსა და ქონების შეფასების აქტს, რომელიც იქნება ხელმოწერილი შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ

დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს სრული და უტყუარი ინფორმაცია დასაზღვევი ქონების შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის.

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ პოლისში მითითებული დაზღვევის ტერიტორიაზე, დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

სადაზღვევო დაფარვის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 1 (ერთი) თვის ვადით და ძალაში შედის დამზღვევისა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღის 24 საათზე. სადაზღვევო პოლისი ექვემდებარება ავტომატურ განახლებას ყოველთვიურად დამზღვევისა და მოსარგებლეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის სრულად შესრულებამდე.

წინამდებარე პირობების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობითი სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. დაზღვევის ობიექტი

- 2.1. დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დამზღვევის ქონებრივი ინტერესები, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის საგნის (ქონების) განადგურების ან დაზიანების რისკთან;
- 2.2. წინამდებარე პირობების საფუძველზე დაზღვევას ექვემდებარება შემდეგი სახის ქონება:
 - 2.2.1. შენობა-ნაგებობები მათი განუყოფელი კონსტრუქციული ელემენტების ჩათვლით.
- 2.3. წინამდებარე პირობებით დაზღვევას არ ექვემდებარება:
 - 2.3.1. ნაღდი ფული ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში; აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
 - 2.3.2. ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, გეგმები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, საბუღალტრო და საქმიანი წიგნები და იქ განთავსებული ინფორმაცია;
 - 2.3.3. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ.;
 - 2.3.4. ძვირფასი და იშვიათი ლითონები, მავთულების, ზოდების, ქვიშის, თვითნაბადი ფორმით, ასევე ძვირფასი თვლები, საიუველირო ნაკეთობები, ბეწვეული;
 - 2.3.5. ქონება გამოფენაზე ექსპონირების დროს;
 - 2.3.6. ინფორმაციის ტექნიკური მატარებლები, მაგნიტური ფირები და კასეტები, მაგნიტური დისკები და მეხსიერების ბლოკები და მათზე განთავსებული ინფორმაცია;
 - 2.3.7. მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, ბონების და სხვა მსგავსი ტიპის საკოლექციო ერთეულები, ასევე ნახატები, სურათები, ქანდაკებები და ხელოვნების სხვა ნიმუშები;
 - 2.3.8. მომწავლავი, კაუსტიკური და ასაფეთქებელი ნივთიერებები;
 - 2.3.9. იარაღი, საბრძოლო მასალა;
 - 2.3.10. დაუსრულებელი მშენებლობის ობიექტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონსტრუქციას გააჩნია ფუნდამენტი, კედლები, გადახურული კარკასი, კარები და შემინული ფანჯრები (თუ დასაზღვევი ობიექტი არ არის შემინული, გამონაკლისია წვიმით, სეტყვით და წყალდიდობით მიყენებული ზიანი), თუ სამშენებლო პროექტი ითვალისწინებს ასეთი არსებობას;
 - 2.3.11. ცხოველები და მცენარეები, მარცვლოვანი კულტურები;
 - 2.3.12. ფეთქებადი ნივთიერებები;
 - 2.3.13. კვების პროდუქტები;
 - 2.3.14. ხისგან აგებული მზიდი კონსტრუქციის მქონე ნაგებობები;
 - 2.3.15. ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ნაგებობები;
 - 2.3.16. მიწის დონეზე ქვემოთ განლაგებული ნაგებობები;
 - 2.3.17. ისეთი არასაცხოვრებელი ფართები, რომლებიც გამოიყენება საწყობად და ამავედროს არ არის დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები (ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრობები, "სპრინკლერები");
 - 2.3.18. სატრანსპორტო საშუალებები (საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო); სამშენებლო/სასოფლო-სამეურნეო დანადგარები;
 - 2.3.19. შენობებისა და ნაგებობების გარე კედლებზე დამაგრებული ობიექტები: ანძები, ანტენები, ღია ელექტროსადენები, სარეკლამო დანადგარები, ბილბორდები, ვიტრინების ფარდულები და ა.შ.;
 - 2.3.20. სწრაფი გადახდის აპარატები (ავტომატები), რომლებიც იღებენ გადახდას მონეტების ან ჟეტონების სახით, ბანკომატები;
 - 2.3.21. შესანახად გადაცემული ან შემოწმების პროცესში მყოფი საქონელი;
 - 2.3.22. მიწისქვეშა კომუნიკაციები;
 - 2.3.23. კავშირგაბმულობისა და ელექტროგადაცემის ხაზები, ასეთი ხაზების დაზღვევა შესაძლებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი შედიან უშუალოდ დაზღვეული შენობა-ნაგებობების შემადგენლობაში.
 - 2.3.24. ქონება, რომელიც იმყოფება დაზღვევის ტერიტორიაზე, მაგრამ არ წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებას;
 - 2.3.25. მიწის ნაკვეთები, ხიდეები, გადასასვლელები, გზები, ასფალტირებული მონაკვეთები;
 - 2.3.26. შენობის შიდა მოპირკეთება (რემონტი);
 - 2.3.27. შენობის შიგთავსი, მათ შორის ავეჯი, საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები და ელ. მოწყობილობები;
 - 2.3.28. ყველა სახის ენერგო და ნავთობქიმიური რისკის მატარებელი ნაგებობა და დანადგარი, მათ შორის ნავთობის/საწვავის საბურღი დანადგარები, მილსადენები, ენერგოგადამამუშავებელი და გამწმენდი ქარხანები, ჭაბურღილები;
 - 2.3.29. შენობები, რომლებიც აგებულია 1954 წელზე ადრე;
 - 2.3.30. შენობები, რომელთა საბაზრო ღირებულებაც აჭარბებს 1000000.00 (ერთი მილიონი) აშშ დოლარს;

2.3.31. ავარიული შენობა-ნაგებობები, ან შენობები, რომლებიც სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების პროცესში იმყოფებიან კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალურად აღიარებულ შესაძლო სტიქიური უბედურების ზონაში.

3. სადაზღვევო რისკები

3.1. ქონება დაზღვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი რისკებისაგან:

- 3.1.1. **ხანძარი** - წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, ნიშნავს ცეცხლის წარმოქმნას, რომელიც ვრცელდება დამოუკიდებლად, იმ ადგილების გარეთ, რომლებიც განკუთვნილია ამ ცეცხლის გასაჩაღებლად და შესანარჩუნებლად. ცეცხლით დაზიანება, რომელიც არ არის გამოწვეული ხანძრის შედეგად, არ ექვემდებარება ანაზღაურებას.
- 3.1.2. **მეხის დაცემა** - წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, მეხის დაცემა ნიშნავს ელექტრულ ნაპერწკლოვან განმუხტვას, რა დროსაც დენი გადის დაზღვეულ ქონებაში და იწვევს მის დაზიანებას ან ხანძარს. მეხის დაცემის შედეგად ელექტრონული მოწყობილობის ან დანადგარების დაზიანება ხანძრის წარმოქმნის გარეშე ანაზღაურებას არ ექვემდებარება.
- 3.1.3. **აფეთქება.**
- 3.1.4. **პილოტირებული საფრენი აპარატების, მათი ნაწილების ან მათგან გადმოვარდნილი საგნების დაცემა დაზღვეულ ქონებაზე.**
- 3.1.5. **სტიქიური მოვლენები, კერძოდ: სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, მიწყერი, ზვავი, გრუნტის დაწევა** (მაგრამ არა ხელოვნურად გამოწვეული), **მლიერი ქარი** (ჰაერის მასების მოძრაობა 25მ/წმ ზე მეტი სიჩქარით), რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ატმოსფერული პროცესებით;
- 3.1.6. **წყალდიდობა** - დაზღვეულ შენობაში წყლის გარედან შეღწევა იმ მიწის ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია სადრენაჟო სისტემების არასწორი მართვით, საზოგადოებრივი წყლის მილების გასკდომით, ან შენობის საძირკველში არსებული სადრენაჟო და საკანალიზაციო მილების მწყობრიდან გამოსვლით.
- 3.1.7. **მიწისძვრა** - იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელი იქნება სეისმოლოგიური პირობების შესწავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიწისძვრით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებაზე, თუ დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება გამოიწვია მიწისძვრამ, რომლის სიმძლავრეც ნაკლები ან ტოლი იყო 4.0 მაგნიტუდაზე რიხტერის სკალით.

4. საერთო გამონაკლისები

- 4.1. წინამდებარე პირობებით არ იფარება ქონების განადგურება ან დაზიანება, რომელიც დაკავშირებულია, ან გამოწვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით:
- 4.2. ბირთვული ენერჯის გამოყენება ნებისმიერი ფორმით და ამ გამოყენების შედეგები, რადიაცია, რადიოაქტიური დაბინძურება, მაიონიზებული გამოსხივება; რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადსაშიში ან სხვა მავნე ნივთიერებების ზემოქმედება;
- 4.3. ქიმიური, ბიოლოგიური ან ელექტრომაგნიტური იარაღის გამოყენება;
- 4.4. ომი (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამხედრო გადატრიალება, შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა ხმელეთიდან, ჰაერიდან ან ზღვიდან, ან ასეთი თავდასხმის უშუალო საფრთხე; სამხედრო ღონისძიებები; სამოქალაქო ომი; აჯანყება, რევოლუცია, ამბოხი, ტერორისტების ქმედებებით ან ასეთის მცდელობა, ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, სახალხო მღელვარება, მასობრივი არეულობა, გაფიცვები და ლოკაუტი;
- 4.5. ქონების კონფისკაცია, რეკვიზიცია, ექსპროპრიაცია, დაყადაღება, სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებით/ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება;
- 4.6. დამზღვევის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი განზრახი ქმედება, ან უხეში გაუფრთხილებლობა, მათ შორის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სახანძრო ან სხვა ტიპის უსაფრთხოების ზომების დარღვევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამისი ნორმებიდან გადახრა შეთანხმებულია სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან (წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის უხეშ გაუფრთხილებლობად არ ჩაითვლება მცირეწლოვანი ბავშვების ქმედებები);
- 4.7. დაზღვეული ქონების ბუნებრივი ცვეთით ან მისი თვისებების თანდათანობითი დაკარგვით; ქონების ფერის, სუნის, სტრუქტურის ან ფორმის ცვლილებით მისი ბუნებრივი თვისებების შედეგად;
- 4.8. კოროზიით, ჟანგვით, დუღილით, თვითაალებით, ბაქტერიებით ან სოკოთი, ლპობით, ცვეთით, ეროზიით, მაღალი და ცვალებადი ტემპერატურით, ფერმენტაციით ან სხვა ბუნებრივი პროცესები (თვისებებით);
- 4.9. ჩრჩილით, მწერების, მღრღნელების და სხვა მავნებლების მიერ.
- 4.10. წყალმომარაგების, გათბობის და სხვა მსგავსი სისტემების გადახურებითა და გადატვირთვით;
- 4.11. დაზღვეული შენობა-ნაგებობების დეფექტებითა და ნაკლოვანებებით, რომლებიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის და რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო დამზღვევისთვის ან მისი უფლებამოსილი პირებისთვის; წარმოების დეფექტები, უხარისხო მასალები, პროექტირების, დაგეგმარების და დიზაინის შეცდომები;

- 4.12. დაზღვეულ ობიექტში ან ნაგებობაში თოვლის, სეტყვის ან წყლის შეღწევით ღია ფანჯრებიდან ან კარებიდან, ასევე სხვა ნაპრალებიდან, რომელიც გაკეთებულია მიზანმიმართულად, ან წარმოქმნილია დაზღვეული ობიექტის სიძველით ან სამშენებლო დეფექტით;
- 4.13. დაზიანება გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზებით.
- 4.14. ფუნდამენტების, კედლების, მზიდი კონსტრუქციების ან გადახურვების, საინჟინრო ნაგებობების დაწევა, დასკდომა, შეკუმშვა, გაფართოება ან ამოზურცვა;
- 4.15. დაზღვეული ქონების დაზიანება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების მსვლელობისას, ასევე დაზღვეული შენობების რეკონსტრუქციის ან გადაიარაღების დროს;
- 4.16. მოკლე ჩართვა, თუმცა დაფარვას ექვემდებარება ასეთი მოკლე ჩართვის შედეგად გამოწვეული ხანძრის მიერ დაზღვეული მიყენებული ზიანი.
- 4.17. წინამდებარე პირობებში მითითებული დაფარული რისკების გარდა სხვა რისკებით.
- 4.18. დაზღვეული ქონების ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის გაწეულია დამატებითი ხარჯები;
- 4.19. დანახარჯები გაწეულია პროფილაქტიკურ, დროებით, დამხმარე რემონტზე, ნებისმიერ პრევენციულ ღონისძიებაზე;
- 4.20. თუ დამზღვევმა განზრახ აარიდა თავი ქონების გადასარჩენად აუცილებელი ზომების მიღებას;
- 4.21. ზიანი ან დაზიანება რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამომდინარეობს კიბერ რისკების ან კიბერ თავდასხმების შედეგად;
- 4.22. მზღვეელი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეელის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეელზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).

5. სადაზღვევო თანხა

- 5.1. სადაზღვევო თანხა ყოველი დაზღვევის ობიექტისთვის არ შეიძლება აღემატებოდეს მის საბაზრო ღირებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის;
- 5.2. ქონების საბაზრო ღირებულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - 5.2.1. შენობა-ნაგებობებისთვის - განადგურებული ობიექტის საპროექტო მახასიათებლებისა და სამშენებლო მასალების ხარისხის მხედველობაში მიღებით ანალოგიური ობიექტის მოცემულ ადგილზე მშენებლობის საპროექტო ღირებულება, ცვეთისა და ექსპლუატაციურ-ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- 5.3. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის ქონების საბაზრო ღირებულება აღმოჩნდება სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ მზღვეელის მიერ ზარალის ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო თანხის მიხედვით;
- 5.4. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის ქონების საბაზრო ღირებულება აღმოჩნდება სადაზღვევო თანხაზე ნაკლები, მზღვეელი იტოვებს უფლებას მოითხოვოს სადაზღვევო თანხის შემცირება ობიექტის საბაზრო ღირებულებამდე და შესაბამისად გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

6. სადაზღვევო პრემია

სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ ინფორმაცია მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 7.1. **დამზღვევი ვალდებულია:**
 - 7.1.1. უზრუნველყოს მზღვეელი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი სრული და ზუსტი ინფორმაციით;
 - 7.1.2. მოსარგებლის მეშვეობით დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;
 - 7.1.3. გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს დაზღვევის ობიექტი, დაიცვას უსაფრთხოების აუცილებელი ზომები, მათ შორის გამართულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 7.1.4. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა სადაზღვევო შემთხვევის დროს დაზღვეული ქონების გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად. მზღვეელი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან, თუ დამზღვევი განზრახ არ მიიღებს შესაძლო გონივრულ ზომებს ზარალის შესამცირებლად.
 - 7.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე გონივრულ ვადებში შეატყობინოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოსა და მზღვეელს ცხელი ხაზის ნომერზე: 2 42 22 22 . სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე სატელეფონო შეტყობინების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეელს შემდეგი საბუთები:
 - 7.1.5.1. წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის გარემოებათა დეტალური აღწერით;
 - 7.1.5.2. სადაზღვევო პოლისის ეგზემპლარი;
 - 7.1.5.3. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დანართი (კრედიტის დაფარვის გრაფიკი);
 - 7.1.5.4. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი ცნობა მათ შორის: სტიქიური მოვლენების ხდომილების შემთხვევაში სახელმწიფო მეტეოროლოგიური ცენტრის მიერ გაცემული ცნობა; ხანძრის ან აფეთქების შემთხვევაში - სახანძრო

ორგანოების მიერ გაცემული ცნობა; ზემოთჩამოთვლილი ცნობების წარმოდგენა მზღვეველის მიერ მოითხოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები უარს განაცხადებენ ცნობის გაცემაზე მზღვეველის წარმომადგენლის სახელზე.

7.1.5.5. კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას 7.1.5 პუნქტში ჩამოთვლილი საბუთების გარდა, დამატებით მოითხოვოს, შემთხვევის გარემოებების დასადგენად და ზარალის ოდენობის ზუსტად განსასაზღვრად, სხვა აუცილებელი საბუთების წარმოდგენა.

7.1.6. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე ქონების არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის ან შსს-ს წარმომადგენლის მიერ;

7.1.7. შეატყობინოს მზღვეველს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სადაზღვევო რისკის ხარისხის ზრდაზე (იგულისხმება ქონების გადაცემა იჯარით, ან გირაოთი, დაზღვეული ქონების მნიშვნელოვანი დაზიანება, შენობის დანგრევა, სარემონტო სამუშაოების დაწყება, რეკონსტრუქცია, უმეტესადაზღვევოდ დატოვება 30 დღეზე მეტი დროით), ამ ინფორმაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვევის პირობების ცვლილება ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა, რისკის ხარისხის ზრდის შესაბამისად.

7.1.8. ნებისმიერ დროს უზრუნველყოს მზღვეველის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, მზღვეველის მიერ დანიშნული ნებისმიერი ექსპერტისა და შემფასებლის მიერ დაზღვეული ქონების დათვალიერება; მზღვეველის მიერ გადაწყვეტილების მიღება აღნიშნული დათვალიერების ჩატარების თაობაზე წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნას დამზღვევთან.

7.1.9. გონივრული ვად(ებ)ის დაცვით, წერილობითი ფორმით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვევის ხელშეკრულების დასადგენად წარმოდგენილ მონაცემებში ისეთი ცვლილების თაობაზე რომელიც ზრდის რისკის ხარისხს;

7.2. მზღვეველი ვალდებულია:

7.2.1. დაიწყოს სადაზღვევო შემთხვევის შეფასების პროცესი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ წარმოსადგენი დოკუმენტაციის დამზღვევისგან სრულად მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7.2.2. წინამდებარე პირობების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევის სრულად შეფასებისა და ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლის მიმართ, დამზღვევსა და მზღვეველს შორის ზარალის ოდენობაზე საბოლოო წერილობითი შეთანხმების - სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე - ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.2.3. წერილობით შეატყობინოს დამზღვევს და მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარი, შესაბამისი დასაბუთებით სადაზღვევო შემთხვევის შესაფასებლად ყველა აუცილებელი საბუთის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.2.4. არ გაახმაუროს მონაცემები დამზღვევის და მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

7.3. მზღვეველი უფლებამოსილია:

7.3.1. მოითხოვოს დამზღვევისგან და შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისგან ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის ან სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დასადგენად, ასევე დამოუკიდებლად გამოიკვლიოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მიზეზები და გარემოებები, ან დანიშნოს ექსპერტიზა;

8. სადაზღვევო ანაზღაურება

8.1. დამზღვევსა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ ჯამურად გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას.

8.2. დაზღვეული ქონების სრული განადგურების შემთხვევაში, ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის.

8.3. ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში ქონების ღირებულება განისაზღვრება უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე აღსადგენად საჭირო დანახარჯების მიხედვით;

8.4. წინამდებარე პირობების მიზნებისთვის დაზღვეული ქონება ჩაითვლება სრულად განადგურებულად, თუ ხარჯები მისი შეკეთებისა და აღდგენისათვის გადააჭარბებს მისი საბაზრო ღირებულების 75%-ს;

8.5. სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

8.5.1. სარემონტო მასალების ხარჯებს;

8.5.2. სარემონტო სამუშაოების ჩატარების ღირებულებას (სახელფასო დანამატები ზეგანაკვეთური მუშაობისთვის, ღამის საათებში და ოფიციალურ დღესასწაულებზე მუშაობისთვის ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზე მხარეები წინასწარ წერილობით შეთანხმდებიან).

8.5.3. მასალების რემონტის ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯებს;

8.5.4. სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია დაზიანებული ქონების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად (ცვეთის გათვალისწინებით);

8.5.5. ნარჩენების გატანის ხარჯებს, თუ ამის თაობაზე მხარეთა შორის არსებობს წინასწარი წერილობითი შეთანხმება. ასეთი ხარჯები ანაზღაურდება არაუმეტეს სადაზღვევო თანხის 10%-ის ფარგლებში.

- 8.6 სადაზღვევო ანაზღაურებაში შემავალი ადღგენის ხარჯები გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის თარიღისთვის მოქმედი საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.
- 8.7 მზღვეველი არ ანაზღაურებს წინასწარი შეკეთების ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ ეს შეკეთება საბოლოო შეკეთების ნაწილს არ წარმოადგენს და ზრდის შეკეთების საერთო ხარჯებს.
- 8.8 თუ დამზღვევეს მესამე პირის მხრიდან, აუნაზღაურდა ზარალი მაშინ მზღვეველი გადაიხდის სხვაობას დაზღვევის პირობებით ასანაზღაურებელ თანხასა და მესამე პირისგან მიღებულ თანხას შორის. დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს ასეთი თანხების მიღების შესახებ.
- 8.9 დამზღვევისთვის ზარალის შემცირების მიზნით გაღებული ხარჯი, თუ ასეთი ხარჯი აუცილებელი იყო ან მზღვეველის მითითებით იყო გაღებული, ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას იმ შემთხვევაშიც, თუ მიღებული ზომები უშედეგო აღმოჩნდა.
- 8.10 ერთი სადაზღვევო რისკით განპირობებული დანაკარგი/ზიანი განხილულ იქნება მზღვეველის მიერ როგორც ერთი სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევსა და მოსარგებლეს შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მთელ პერიოდზე.

9. სუბროგაციის წესი

- 9.1 სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ მზღვეველზე გადადის დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირისგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლებში.
- 9.2 დამზღვევი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს ყველა მის ხელთ არსებული საბუთი, მტკიცებულება და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მზღვეველის მიერ მასზე გადასული მოთხოვნის უფლების განსახორციელებლად.
- 9.3 დამზღვევი ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში და მისცეს უფლება, მისი სახელით წარმართოს და გააკონტროლოს ზარალის დარეგულირების პროცესი;
- 9.4 იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი უარს განაცხადებს მზღვეველისათვის ზიანზე პასუხისმგებელი მესამე პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების გადაცემაზე ან ასეთი უფლების გამოყენება შეუძლებელი გახდება დამზღვევის ქმედებით, მზღვეველი გათავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებისაგან ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უკვე გადახდილი აქვს სადაზღვევო ანაზღაურება, წარმოეშვა უფლება მოითხოვოს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

10. ორმაგი დაზღვევა

- 10.1. დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ ქონებასთან მიმართებით სხვა სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.
- 10.2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროისთვის თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ქონება დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი დამზღვევს/მოსარგებლეს აუნაზღაურებს ზარალს, ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად (სადაზღვევო თანხის შეფარდება ყველა ასეთი (სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული) პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხების ჯამთან).
- 10.3. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, თავიანთი პასუხისმგებლობის მოცულობის პროპორციულად.

11. დავების გადაწყვეტა

- 11.1. წინამდებარე სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით; შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 11.2. წინამდებარე პირობების უცხოენოვან ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ქართულ ვერსიას მიენიჭება.
- 11.3. დაზღვევის პირობებსა და პოლისს შორის შეუსაბამობების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისში განსაზღვრულ პირობას.

12. დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

- 12.1. სადაზღვევო ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:
- 12.1.1. დამზღვევმა განზრახ გამოიწვია საფრთხის ზრდა ან დროულად არ შეატყობინა მზღვეველს საფრთხის ზრდის შესახებ;
 - 12.1.2. დამზღვევის მიერ დამალულია, ან არასწორადაა მოწოდებული, ან მოწოდებულია გაყალბებული ინფორმაცია – ასეთ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე და შეწყვიტოს დაზღვევა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების საფუძველზე;
 - 12.1.3. თუ მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული.
 - 12.1.4. დამზღვევის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში;
- 12.2. დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:

- 12.3. მოსარგებლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
- 12.4. მზღვეველის მიერ მისი საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში.
- 12.5. მოსარგებლის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში დამზღვევის დავალიანების არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულების პირობებისა და მოსარგებლის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- 12.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. შეტყობინებები და კომუნიკაცია

- 13.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად; შეტყობინების ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.
- 13.2. მზღვეველის მხრიდან დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის შეტყობინების გაგზავნა მოხდება სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის.
- 13.3. პრემიის დავალიანების არსებობის შესახებ დამზღვევმა შეტყობინება შეიძლება მიიღოს როგორც მზღვეველისგან, ასევე მოსარგებლისგან სესხზე არსებული დავალიანების შეტყობინების ფარგლებში, რომელიც დავალიანებას ასევე მოიცავს საპრემიო დავალიანებას. ორივე ასეთ შეტყობინებას აქვს თანაბარი სამართლებრივი ძალა.

14. კონფიდენციალობა

- 14.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- 15.1. დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაამუშაოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულების მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის. აღნიშნული მიზნებისთვის მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, გამოითხოვოს დაზღვეულის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.
- 15.2. დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რათა მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესატყვისად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.